ქ. თბილისი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/268

08 სექტემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველის მოედანი №2), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბესიკ ჩიხლაძის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 აგვისტოს №01/1-3/2923 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „TEDEX GEORGIA“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ., №7., კომერციული ფართი № ა415) წარმოდგენილი - დირექტორის რევაზ ასლამაზიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ორივე ერთად წოდებული როგორც მსარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2016 წლის 30 აგვისტოს SMP160002340 მიმართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 01 სექტემბრის №2499 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დუკუმენტით. მათ შორის:

1.3.1 ფასების ცხრილი (დღგ-ის ჩათვლით ლარი) და საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები (დანართი №1);

1.3.2 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2016 წლის 30 აგვისტოს SMP160002340 მიმართვა;

1.3.3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 01 სექტემბრის №2499 განკარგულება.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.5. „საქონელი“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან **დანართი №1-ით გათვალისწინებული ზეთების** (შემდგომში - „საქონელი“) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 09200000; 09211400; 09211100.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **2'575 (ორი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარს** (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2 თითოეული ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა საგარეუდო ხარჯს, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღე.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის პირველი შესახვევი №38.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის თანამშრომელი და №1 ავტობაზის მთავარი ინჟინერი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფი“).

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“	შპს „TEDEX GEORGIA“
ბესიკ ჩიხლაძე	რევაზ ასლამაზიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/269

ქ. თბილისი

08 სექტემბერი, 2016 წელი

6. საქონლის საგარანტიო პირობა

6.1 დანართი №1-ში მითითებული მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს სრულიად ახალი (არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში ნამყოფი), ხარისხიანი და შეესაბამება საქონლის ტექნიკურ პარამეტრებს (დანართი №1).

6.2 მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს 20'000 (ოცი ათასი) კილომეტრ გარბენს.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონლის შეცვლა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) მიწოდების დასრულების შემდეგ.

7.4 საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

7.5 საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების დან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე მის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

8.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს მოთხოვნილი საქონელი;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს მიწოდების ვადისა და ადგილის შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. ავრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს „TEDEX GEORGIA"
ბესიკ ჩიხლაძე	რევაზ ასლამაზიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების ზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას;

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხდის ვადასასდელი თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისათვის. ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხდის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული საქონლის შეცვლას ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს ვადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის ძალისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

„შემსყიდველი"	„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	„TEDEX GEORGIA"
ზესიკ ჩიხლაძე	ლევან ასლამაზიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

14. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არცერთ მხარეს უფლება არა აქვს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტებისა.

16.2 ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

„მიმწოდებელი“
შპს „TEDEX GEORGIA“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401977919
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ., №7.,
კომერციული ფართი № ა415
ტელ: (995 598) 45 62 71.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE03TB7284036080100002; ბანკის კოდი: TBCBGE22

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ზესიკ ჩიხლაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„შემსყიდველი“
შპს „TEDEX GEORGIA“

რევაზ ასლამაზიშვილი
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/268

ქ. თბილისი

08 სექტემბერი, 2016 წელი

დანართი №1

ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლები და ფასების ცხრილი (დღგ-ის ჩათვლით ლარი)

№	საქონლის დასახელება	საქონლის ტექნიკური პარამეტრები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით ლარი)	საერთო ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით ლარი)	საქონლის წარმოშობის ქვეყანა	საქონლის მწარმოებელი ფირმა და მოდელი
1	ზეთი (ძრავისთვის) ნახევრადსინთეტიკური, 10W40	ნავთობპროდუქტი (ნახევარსინთეტიკური ძრავის ზეთი API:UHPD), რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების შიდაწვის ძრავებში და რომელიც ხასიათდება ანტიკოროზიული და ჟანგვის საწინააღმდეგო თვისებებით. კინემატიკური სიბლანტე 100^{0}C - 14.0; სიბლანტის ინდექსი -145, დინამიური სიბლანტე -25^{0}C mPa.s.- 6200, აალების ტემპერატურა ^{0}C - 220; დინების ტემპერატურა -40 ^{0}C; სულფატის ფერფლი wt% - 1,4 .	ლ	200	8	1600	პოლონეთი	TEDEX UHPD API:CI-4 SAE:10W40 (205)
2	ზეთი უკანა ხიდის რედუქტორის 75W90	ზეთი უკანა ხიდის რედუქტორის 75W90 API GL-5 ნავთობპროდუქტი, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში და რომელიც ხასიათდება ანტიტოქსიურობით და ძალიან დაბალი აქროლადობით, ანტიოქსიდანტური. კინემატიკური სიბლანტე 100^{0}C - 17,5; სიბლანტის ინდექსი -150, დინების ტემპერატურა -40 ^{0}C; რეკომენდირებულია ჰიპერპოლოიდური მექანიზმების გასაპობად. ქაფისადმი მდგრადობა 25^{0}C - 0.	ლ	75	13	975		TEDEX SUPER GEAR GL-5 SAE:75W90 (1)
		ჯამი				2575		

„შესყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ბესიკ ჩიხლაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„შესყიდველი“
შპს „TEDEX GEORGIA“

რევაზ ასლამაზიშვილი
დირექტორი

N 01/4748
30/08/2016

4748-01-2-201608301449

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ 2016 წლის ივნისში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. სტამბულის მეტროპოლიტენმა უსასყიდლოდ გადმოსცა 5 (ხუთი) ერთეული ,,მერსედეს 0345 კონექტო"-ს მარკის საქალაქო ავტობუსი, რომელიც შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს ექსპლუატაციისთვის გადმოეცა ივლისის თვეში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მარკის ავტობუსები ჩვენს კომპანიას ადრე ექსპლუატაციაში არ ჰყოლია.

ამჟამინდელი მდგომარეობით, კომპანიის მიერ ექსპლუატაციის დაწყებიდან 2 ავტობუსის გარბენი შეადგენს 10 000 კმ-ს, ხოლო დანარჩენი 3 ავტობუსის გარბენი უახლოვდება აღნიშნულ ნიშნულს და შესაბამისად არსებობს მათი გაჩერების საფრთხე.

ვინაიდან, აღნიშნულ ავტობუსებს არ მოჰყოლია ტექნიკური ექსპლუატაციის დოკუმენტაცია, ჩატარდა აღნიშნული ავტობუსების ტექნიკური კვლევა და დადგინდა, რომ მათი ერთხელ გამართვისთვის და შემდგომი ექსპლუატაციისათვის აგრეგატების მწყობრიდან გამოსვლისა და ავტობუსების გაჩერების რისკების თავიდან აცილების მიზნით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა, საჭიროა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდული იქნას:

- 200 ლიტრი ნახევრადსინთეტიკური 10W40 API ძრავის ზეთი;
- 75 ლიტრი 75W90 API GL-5 – უკანა ხიდის რედუქტორის ზეთი;
- 5 ცალი E 251 HD 11 - ძრავის ზეთის ფილტრი;
- 5 ცალი FS 20402 –საწვავის (უხეში) ფილტრი, ქაღალდის, DxdxL=110x17x118მმ;
- 5 ცალი E1 DIN 73358 KX44, - საწვავის (წმინდა) ფილტრი, DxdxL=84x17x130 მმ;
- 5 ცალი AF 4060 ჰაერის ფილტრი, ქაღალდის DxdxL=244x132x480მმ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიტუაციას ვაფასებთ როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, რათა 5 (ხუთი) ერთეული ,,მერსედეს 0345 კონექტო"-ს მარკის საქალაქო ავტობუსის ტექნიკური გამართვისთვის და მგზავრთა რეგულარულად გადაყვანის სამარშრუტო ხაზზე უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის საჭირო აგრეგატების საცხებ-საპოხი სახარჯი მასალის გადაუდებელი მინიმალური რაოდენობის შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის გზით.

ნუგზარ ჭეიშვილი

გენერალური დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163857171816

 # 2499

01 / სექტემბერი /
2016 წ.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 30 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ SMP160002340 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 200 ლიტრი ნახევრადსინთეტიკური ძრავის ზეთის, 75 ლიტრი უკანა ხიდის რედუქტორის ზეთის, 5 ერთეული ძრავის ზეთის ფილტრის, საწვავის (უხეში) ფილტრის, საწვავის (წმინდა) ფილტრისა და ჰაერის ფილტრის (CPV 09200000 - ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლის 2 ივლისიდან ავტობაზამ დაიწყო 5 ერთეული „მერსედეს 0345 კონექტოს“ მარკის საქალაქო ავტობუსის ექსპლუატაცია. ექსპლუატაციის დაწყებიდან 2 ავტობუსის გარბენმა მიაღწია 10000 კმ-ს, ხოლო დანარჩენი 3 ავტობუსის გარბენი უახლოვდება აღნიშნულ ნიშნულს. მოცემულ ავტობუსებს არ მოჰყოლია ტექნიკური ექსპლუატაციის დოკუმენტაცია. ამიტომ, მიმდინარეობდა ტექნიკური კვლევა, რის საფუძველზეც დადგენილ იქნა, რომ ავტობუსების მორიგი ერთჯერადი ტექნიკური გამართულობის, შემდგომში უსაფრთხო ექსპლუატაციისა და სამარშრუტო ხაზზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაყვანის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ძრავის, უკანა ხიდის შემზეთი მასალების, მფილტრავი ელემენტების შესყიდვა და შეცვლა-განახლება შეზღუდულ ვადებში, რათა თავიდან იქნას აცილებული აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლა და ავტობუსების გაჩერება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ავტობუსები წარმოადგენენ ქალაქ სტამბულის მეტროპოლიის საჩუქარს ქალაქ თბილისის მერიისადმი, რომლებიც საქართველოში მოწოდებული იქნა 2016 წლის ივნისში, ხოლო ექსპლუატაცია დაიწყო 2016 წლის ივლისის თვეში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მარკის ავტობუსები შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ადრე ექსპლუატაციაში არ ჰყოლია და ავტობუსების ტექნიკური მომსახურების ტექნიკური რეგლამენტები და ექსპლუატაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები არ ჰქონდა. შესაბამისად, მოცემული ვითარება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ იქნა განსაზღვრული.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, 2016 წლის 2 ივლისიდან ავტობაზამ დაიწყო 5 ერთეული „მერსედეს 0345 კონექტოს“ მარკის საქალაქო ავტობუსის ექსპლუატაცია. ექსპლუატაციის დაწყებიდან 2 ავტობუსის გარბენმა მიაღწია 10000 კმ-ს, ხოლო დანარჩენი 3 ავტობუსის გარბენი უახლოვდება აღნიშნულ ნიშნულს და შესაბამისად, აუცილებელია ძრავის, უკანა ხიდის შემზეთი მასალების, მფილტრავი ელემენტების შესყიდვა და შეცვლა-განახლება შეზღუდულ ვადებში. მითითებულ ავტობუსებს არ მოჰყოლია ტექნიკური ექსპლუატაციის დოკუმენტაცია და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული ვითარება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ იქნა განსაზღვრული.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ განმარტებით, შესყიდვის განუხორციელებლობამ შეიძლება გამოიწვიოს აგრეგატების მყისიერი ან ნაადრევი გამოყვანა მწყობრიდან, რაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იქნება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ SMP160002340 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე